განმარტებითი ბარათი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია უწყვეტი და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების ინსტიტუციური სისუსტე. მოქმედი კანონმდებლობით არ არის უზრუნველყოფილი თავისუფალი მსმენელის ან სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების უფლება მაშინაც კი, როდესაც თავისუფალი მსმენელის მიერ გავლილი სასწავლო კურსი ან სასერტიფიკაციო კურსი შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ პროგრამას.

პრაქტიკაში კი ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი თავისუფალმა მსმენელმა გაიარა კონკრეტული სასწავლო კურსი ან პირმა გაიარა სასერტიფიკაციო კურსი და მიიღო შესაბამისი კრედიტები, ხოლო შემდეგ ჩაირიცხა აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც გასავლელი აქვს იგივე სასწავლო კურსი, სტუდენტი ვალდებულია თავიდან დახარჯოს დრო იმ კრედიტების მისაღებად, რაც მას უკვე მიღებული აქვს.

ასეთი საკანონმდებლო ხარვეზი იწვევს არათანასწორ მოპყრობას ერთი და იგივე აკადემიური პროგრამის ათვისების შემთხვევაში იმ პირისთვის, რომელიც კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხა უნივერსიტეტში და იმ პირის მიმართ, რომელმაც ეს პროგრამა გაიარა უმაღლესი სასწავლებლის აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცვამდე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია შექმნას თავისუფალი მსმენელისა და სასერტიფიკაციო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების სამართლებრივი მექანიზმი, რაც გაამყარებს უწყვეტი და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების პრინციპს.

მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების სისტემის დანერგვაში დიდ როლს თამაშობს საუნივერსიტეტო კურსების თანაბარი წვდომა, როგორც პროცესის, ასევე, შედეგის მხრივ ყველა ასაკის და სოციალური მდგომარეობის მსურველისათვის: ძალიან მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ თავისუფალ მსმენელად ყოფნის დროს მიღებული განათლება, არა მარტო მატერილური თუ სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში დაეხმარება, არამედ, საჭიროების ან სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესით აკადემიურ პროგრამზე მოხედრის შემდეგ, „კონვერტირდება“ აკადემიური ხარსიხის მისაღებად გასავლელი გზის უკვე დაძლეულ ნაწილად.

კანონპროექტის მიზანია ასევე ხელი შეუწყოს ე.წ. „აღმასრულებელი“, პოსტ-საბაკალავრო პროფესიული საგანმანათლებლო (executive) კურსების განვითარებას. კერძოდ, დღეს საქართველოში სუსტადაა განვითარებული მოკლევადიანი პროგრამები, რომლებიც მსურველს პოსტ-საბაკალავრო პროფესიულ განათლებას სთავაზობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ შეთავაზებული კურსები ვერ ხვდებიან აკადემიური განათლების განვითარების „რიგში“: ანუ, თუკი ვინმე გაივლის პროფესიული დახელოვნების მოკლე (5-6 თვიან) კურსს, შემდეგ, შესაბამის სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურზე ჩაბარებისას, მას ამ განვლილი კურსების თავიდან გავლა უწევს. შედეგად, პოსტ-საბაკალავრო პროფესიული განათლება, აკადემიური სტიმულის არარსებობის გამო, ამოვარდნილია აკადემიური განათლების განვითარების პროცესიდან. პოსტ-საბაკალავრო პროფესიული დახელოვნების მსურველები იძულებულნი არიან ჩააბარონ აკადემიურ სამაგისტრო საფეხურზე და გაიარონ 2 წლიანი პროგრამა, რომელიც მათ მოცემულ მომენტში არ სჭირდებათ. ეს ცვლილება დაზოგავს პოსტ-საბაკალავრო პროფესიული განათლების მიღების ფულს და ამავე დროს, გაზრდის ამ განათლების მიღების მსურველების რიცხვს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

თავისუფალი მსმენელის, ან სასერტიფიკატო კურსის სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტები, სტუდენტს ჩაეთვლება აკადემიური პროგრამის განვლილ ნაწილად, თუკი ისინი მიღებულია იმავე წესით, როგორც მას იღებენ აკადემიურ საფეხურების სტუდენტები და თუკი გავლილი კურსები კონკრეტული აკადემიური პროგრამის შესაბამისი. ეს წესი იმოქმედებს იმ პირების მიმართ, ვინც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით ჩაირიცხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებაარ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ). კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ). კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს. კანონპროექტის განხილვა იგეგმება ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და ექსპერტების მონაწილეობით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს. კანონპროექტის განხილვა იგეგმება ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და ექსპერტების მონაწილეობით.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი

ვ). კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი